

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

### კ ა ნ ო ნ ი

#### „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში („საკანონმდებლო მაცნე“, №15, 17.09.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს სასესიო (პლენარული და კომისიის სხდომები) მუშაობაში.“.

**2. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოებიდან წარმოდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობისა ან/და საფინანსო დეკლარაციების შესახებ ინფორმაციას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად.“.

**3. მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ, დანიშნულ ან წარდგენილ იქნას უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე, უმაღლესი საბჭოს კომისიის, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან.

2. უმაღლესი საბჭოს კომისიების, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობაში არჩევისა და ამ ორგანოებიდან უმაღლესი საბჭოს წევრის გამოსვლის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.“.

**4. მე-15 მუხლის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) ხელი შეუწყოს საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოსთხოვოს უმაღლეს საბჭოს, მის თავმჯდომარეს ან შესაბამის კომისიას;

ე) იყოს უმაღლესი საბჭოს ერთი კომისიის შემადგენლობაში;

ვ) დაესწროს უმაღლესი საბჭოს კომისიის, ფრაქციის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში;

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,  
2008 წლი  
№ უ.ს.რ.ს.